



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 110/ს
25/05/2022

110-21-4-202205250926



**თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფშაველში, საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტის მიერ მდ. სტორის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების
განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფშაველში მდ. სტორის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო მონაკვეთები მდებარეობს, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფშაველში, ლალისყური-ფშაველის ხიდის ჩრდილოეთით, მდ. სტორის ორივე სანაპიროზე. მდინარის ჭალა-კალაპოტში მყარი ნატანის აკუმულაციის შედეგად, კალაპოტის ნიშნული თითქმის გაუტოლდა ჭალის ზედა ტერასის ნიშნულს, რის შედეგადაც ძლიერი წყალდიდობების და წყალმოვარდნების დროს იტბორება მდ. სტორის მარცხენა სანაპირო ზოლში მდებარე, მოსახლეობის კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ავარიული უბნების დასაცავად და პროგრესირებადი ეროზიული პროცესების შესაჩერებლად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, მდ. სტორის ორივე ნაპირზე გათვალისწინებულია ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება, კერძოდ, მარცხენა ნაპირზე - არსებული 20 მ სიგრძის დაზიანებული გაბიონის კედლის დემონტაჟი და მისი ჩანაცვლება 22.65 მ სიგრძის მონოლითური რკინაბეტონის კედლით, ასევე, 450 მ სიგრძის დამცავი გაბიონის კედლის მოწყობა, ხოლო მარჯვენა ნაპირზე - არსებული 70 მ სიგრძის გაბიონის კედლის დაზიანებული მონაკვეთის (10 მ) რეაბილიტაცია. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: I უბანი - X - 4658674.87, Y - 535998.86; X - 4658652.23, Y - 535999.61; II უბანი - X - 4659900.00, Y - 535949.88; X - 4659477.71, Y - 536068.87; III უბანი - X - 4659087.28, Y - 535874.63; X - 4659078.41, Y - 535879.24; საპროექტო მონაკვეთებიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 105 მ-ით. საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 151 მ-ში მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი - „სოფ. ლალისყურის ტალის ციხე“.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მდ. სტორის მარცხენა ნაპირზე გათვალისწინებული გაბიონი წარმოდგენილი იქნება 6.0X2.0X0.3 მ (225

ცალი) ზომის ლეიბებზე დაფუძნებული ორიარუსიანი კედლის სახით. კონსტრუქციისათვის გამოყენებული იქნება გაბიონის ყუთები (პარამეტრები: 1.5X1.0X1.0 მ და 2.0X1.0X1.0 მ), რომლებიც მოიქსოვება 2.7 მმ დიამეტრის მავთულისაგან და შეივსება ადგილობრივი ბუნებრივი ქვით. მდ. სტორის მარცხენა ნაპირზე ასევე განთავსდება 22.65 მ სიგრძისა და 6.1 მ სიმაღლის მონოლითური რკინაბეტონის კედელი. მდ. სტორის მარჯვენა ნაპირზე არსებული 70 მ სიგრძის გაბიონის კედლის დაზიანებული მონაკვეთი (10 მ) აღდგება არსებულ პარამეტრებში.

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია მდ. სტორის ჰიდროლოგიური მახასიათებლები. ნაპირსამაგრი ნაგებობები გაანგარიშებულია მდ. სტორის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდინარის სიგრძეა 38 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 281 კმ². დოკუმენტის თანახმად, 100 წლიანი მაქსიმალური ხარჯი, საპროექტო უბანზე, შეადგენს 488 მ³/წმ-ს. მდ. სტორის კალაპოტის წარეცხვის საშუალო სიღრმე 3,03 მ-ს ტოლია, ხოლო კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე 4,85 მ-ს შეადგენს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო მონაკვეთებში მდინარე სტორს გააჩნია ფართო კალაპოტი, რაც სამუშაოების განხორციელების პროცესში შესაძლებელს ხდის, დროებითი მიწაყრილის მოწყობით, საპროექტო უბნებიდან მდინარის ნაკადის არიდებას. თითოეული საპროექტო მონაკვეთიდან წყლის ნაკადის არიდების საკითხის გადაწყვეტის შემდეგ დაიწყება ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება. საწყის ეტაპზე მოხდება ავარიულ უბნებზე სამშენებლო მასალებისა და მშენებლობისათვის საჭირო ტექნიკის მობილიზება. I უბანზე, თავდაპირველად, განხორციელდება არსებული 20 მ სიგრძის დაზიანებული გაბიონის კედლის დემონტაჟი, პნევმოჩაქუჩის გამოყენებით და რკინაბეტონის კედლის მოსაწყობად საძირკვლის გრუნტის დამუშავება. დამუშავებული გრუნტი და გაბიონის კედლის დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ინერტული მასალა დროებით განთავსდება სამშენებლო მოედანზე, მეორადი გამოყენებისათვის. შემდგომ ეტაპზე მოხდება ტრანშეის კედლების გამაგრება ლითონის ფარებით, ქვაბულიდან წყლის ამოტუმბვა, ქვიშა-ხრემოვანი საგების მოწყობა და მასზე მონოლითური რკინაბეტონის კედლის განთავსება. სამშენებლო სამუშაოების ბოლო ეტაპზე განხორციელდება ადგილზე დაყრილი დრენირებადი გრუნტის უკუყრა და სადეფორმაციო ნაკერის მოწყობა. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, II უბანზე გათვალისწინებული გაბიონის კედლის მოწყობის მიზნით მოხდება გრუნტის ექსკავატორით დამუშავება და ექსკავირებული გრუნტის საპროექტო ტერიტორიაზე დროებით განთავსება, შემდგომი უკუყრისთვის. აღნიშნულის შემდგომ აეწყობა გაბიონის ყუთები, რომლის შევსებაც მოხდება ხელით, ადგილობრივი რიყის ქვით. რაც შეეხება III უბანს, როგორც უკვე აღინიშნა დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია 70 მ სიგრძის არსებული გაბიონის კედლის დაზიანებული მონაკვეთის (10 მ) არსებულ პარამეტრებში აღდგენა. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება ექსკავატორი, ბულდოზერი, ავტოდამტვირთელი, ავტობეტონმრევი, ავტომწე, ბორტიანი მანქანა და 4 ერთეული ავტოთვითმცლელი. სამუშაოების დასრულების შემდგომ, ტერიტორია დასუფთავდება, გატანილი იქნება ნარჩენები და გაყვანილი იქნება ტექნიკა/სატრანსპორტო საშუალებები. ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის სამუშაოები განხორციელდება ეტაპობრივად, 6 თვის განმავლობაში და დასაქმდება დაახლოებით 10-20 ადამიანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში ატმოსფერულ

ჰაერში გაფრქვევა მოხდება მხოლოდ სამშენებლო ტექნიკის მუშაობის და ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოსალოდნელია ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. ნაპირსამაგრი სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, გატარდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები: ავტოტრანსპორტის და სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობის მუდმივი კონტროლი; მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა (35 კმ/სთ-მდე); სამშენებლო ტექნიკის ძრავების უქმ რეჟიმში ექსპლუატაციის კონტროლი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება ავტოტრანსპორტი და სამშენებლო ტექნიკა. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას ერთდროულად იმუშავებს 3-4 ერთეული ტექნიკა, რომელთა ხმაურის ჯამური დონე არ იქნება 90 დბა-ზე მეტი. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ხმაურითა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას ექნება დროებითი ხასიათი. ამასთან, ძლიერი ხმაურის გამომწვევი სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში. შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში ხმაურით და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება საქმიანობის მასშტაბის, ხანგრძლივობისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში მდ. სტორის და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. პროექტის ფარგლებში, მუდმივად შემოწმდება სამუშაოების დროს გამოყენებული ტექნიკისა და დანადგარების გამართულობა და გატარდება შესაბამისი ზომები. სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია მდ. სტორის წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების შემდგომ, შემცირდება ეროზიული პროცესებით გამოწვეული წყლის სიმღვრივის მატების რისკი, რაც დადებითად აისახება იქთიოფაუნაზე.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობით საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები (ნავთობპროდუქტებითა და ზეთებით დაბინძურებული ჩვრები და ა.შ) დროებით განთავსდება სამშენებლო მოედანზე, ცალკე გამოყოფილ სათავსოში და სამუშაოების დასრულების შემდგომ, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების შემდგომ საპროექტო ტერიტორია მოწესრიგდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და ჩატარებული კვლევის შედეგები. საკვლევი რაიონი

ძირითადად აგებულია მეოთხეული ასაკის ნალექებით. რელიეფი ძირითადად აგებულია ალუვიური - მდინარეული კაჭარ-კენჭნარით, თიხნარისა და ქვიშნარის შემავსებლით და ზედაპირულად დაფარულია დელუვიური თიხნარებით - ნახევრადმაგარი და მაგარი კონსისტენციით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში არსებულ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე მაღალი ეკოლოგიური ღირებულების ხე-მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. საპროექტო არეალში მცენარეული საფარის სიმცირე განპირობებულია ინტენსიურად მიმდინარე ეროზიული პროცესებით, ამასთან, საპროექტო უბნები წარმოადგენს მდინარის სანაპირო ზოლს, რომელიც აგებულია ალუვიური ნატანით და დელუვიონით. ანთროპოგენური დატვირთვის და მცენარეული საფარის სიმწირის გამო, საპროექტო ტერიტორიაზე ცხოველებისთვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო წარმოდგენილი არ არის და შეინიშნება მხოლოდ ადამიანის სამეურნეო საქმიანობას ადვილად შეგუებადი სახეობები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გავრცელებულია „წითელი ნუსხის“ სახეობები. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემდეგ, შემცირდება სანაპირო ზოლზე მიმდინარე ინტენსიური ეროზიული პროცესების გავლენა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება რეაბილიტირებული საპროექტო მონაკვეთის მდგომარეობა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გაიგზავნა თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

მდ. სტორის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რაც უზრუნველყოფს მდინარის სანაპირო ზოლის დაცვას ეროზიული ზემოქმედებისგან. სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.


ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფშაველში მდ. სტორის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და თელავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო